ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №956188

ნომერი: AR1166295

თარიღი : 02.10.2013

გაცემის თარიღი : 23.10.2013

გაცნობის თარიღი : 23.10.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "ჩალიპირები" / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "ჩალიპირები" , ნაკვეთი 34/692 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლელი აბულაძე პ/ნ 01030040768
- თბილისი მ.წინამძღვრიშვილის ქ. N 162

ორგანიზაცია:
- შპს "ომეგა მოტორსი" კოდი: 245433231

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2013 წლის 02 ოქტომბრის #AR1166295 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ტექნიკური შეცდომის გასწორებას ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 15 აგვისტოს #ბ-12/13198215-16 ბრძანებაში.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 12.03.2013 წლის #557038 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, "ჩალიპირები" (ნაკვეთი 34/692) შპს "ლორუსი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი : #01.72.14.034/731) შეთანხმდა ოფისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 12 მარტიდან 2013 წლის 12 მაისის ჩათვლით. ხოლო, სამსახურის 02.05.2013 წლის #671774 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე თქვენს განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი და დაგევალათ დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენა. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული გადაწვეტილებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი, სამსახურის მიერ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი არ შეთანხმებულა.

მოგვიანებით, სამსახურის 05.08.2013 წლის #829168 გადაწყვეტილებით გაცემული იქნა დასკვნა 12.03.2013 წლის #557038 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით განხორციელებული მშენებლობის (ღობის გარეშე) ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე. ხოლო, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 15 აგვისტოს #ბ-12/13198215-16 ბრძანებით აღნიშნული ობიექტის მიღებული იქნა ექსპლუატაციაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ცვლილება შეიტანოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge